თავისუფალი საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

23 VIII 1991 ფასი 50 კაპ. № 31 (36)

რედაქტორის სვეტი

21 აგვისტოს გაზეთ „ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ, სადაც უარყოფითად არის შეფასებული ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოში მიმდინარე პროცესები. შემდეგ გაცხადებულია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება, რაც ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების მოწესრიგებისა და კანონიერების განმტკიცებას ითვალისწინებს“ (სტილი დაცულია).

ქართველი კომუნისტებისათვის სავსებით ბუნებრივ მოღალატურ პოზიციას, რომელიც არაბუნებრივად გულწრფელად (ან უბრალოდ უჭკუოდ და წინდაუხედავად) იქნა გამოთქმული გაზეთ „ცხოვრების“ ფურცლებზე, 22 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ქართველმა კომუნისტებმავე დააწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, სადაც ვკითხულობთ: „...მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია არასწორად ასახავს ბიუროს დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტისა და საგანგებო კომიტეტისადმი, სრულიად არ შეესაბამება ბიუროს მიერ მიღებული დადგენილების შინაარსს...“ რასაკვირველია, არც ეს წრესგადასული უტიფრობა და გულისამრევი ლაჩრობაა გასაკვირი.

ახლა სხვა ვთქვათ. ამ 70 წელმა ხომ ნათლად დააადასტურა, რომ კომუნისტების ყოველი დღე და წუთი ზოგადად დანაშაულებრივია, მაგრამ როგორც ირკვევა, არსებობს სპეციფიკური, საკუთრივ კომუნისტური ბოროტმოქმედება — მტერს მუდამ ისინი უნდა მოუძღოდნენ წინ ქვეყანაში, რომელიც მათ სამშობლოდ ითვლება. 21 წელი, 56 წელი, 89 წლის 9 აპრილი.... დღევანდელი დღე. ნუთუ აღარ დადგა იმის ხმამაღლა განცხადების დრო, რომ **ერის ღალატი არის არა კომპარტიის ცალკეულ წევრთა დანაშაულებრივი ქმედება, არამედ კომუნისტების თვისება.**

კომპარტია არის ნაღმი, რომელიც ხელსაყრელ მომენტს ეძებს, რათა საქართველო აღგავოს პირისაგან ქვეყნისა.

ამ სავალალო ჭეშმარიტებაზე თვალის დახუჭვა ან წაყრუება აღარ შეიძლება. გავიხსენოთ, როგორ შემოუბრუნდა დამოუკიდებელ საქართველოს მისი ეროვნული მთავრობის მიერ გამოჩენილი „ჰუმანურობა“, როდესაც მათ ქვეყნიდან გაქცევის საშუალება მისცეს ფილიპე მახარაძეს და სხვა გულმხურვალე ბოლშევიკებს. ახლა ხომ დოკუმენტურად დამტკიცდა ის, რაც თავისთავად ცხადი იყო, რომ დღევანდელი კომუნისტები ორჯონიკიძეებისა და ორახელაშვილების ღვიძლი შვილები არიან, რომ მათი თარეში ქვეყანაში სახიფათოა.

ჰუმანურობას და შემწყნარებლობას არაფერი აქვს საერთო დაუსჯელობის სინდრომთან, განუკითხაობასთან. გავიხსენოთ ხევისბერი გოჩა... თუმცა რა შედარებაა, ონისე, რომელიც საკუთარი ღირსების აღსადგენად თავად ეძიებს სასჯელს, უბადლო ვაჟკაცად მოსჩანს ამ სულმდაბალი, ზნედაცემული კაცუნების გვერდით, რომლებიც ახლა გამწარებით ეძიებენ ხვრელებს, რათა საკუთარი ტყავი გადაირჩინონ.

დღეს ჩვენ იმის მოწმენიც ვართ, თუ როგორ „იცვალეს ფერი“ ყოფილმა პარტიულმა და კომკავშირულმა ფუნქციონერებმა და ამჟამად პედაგოგებად (რაღა თქმა უნდა, არა საშუალო სკოლის ან ბაგა-ბაღის, რაც მათი ღირსებისთვის დამამცირებელია, არამედ — უმაღლესი სასწავლებლების), მეცნიერებად, სხვადასხვაგვარ „ინტელიგენტებად“ მოგვევლინენ და აგრერიგად სახეცვლილნი ახლა ახალგაზრდებს აზიარებენ ეროვნულ იდეალებს. ეროვნული ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, საერთოდ ეროვნული სულიერების ამგვარი პროფანაცია, ვფიქრობთ, არა ნაკლებ საშიში და მიუღებელია, ვინემ „გეკაჩეპეს“ მხარდაჭერა. ეს არ არის აშკარა ბოროტმოქმედება და ამგვარი გარჯის ნაყოფიც არ იქნება უმალ საცნაური. თუმც ნაკლებ ჭრილობად არ დაიჩნდება ერს.

ისიც ნუ გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ „კომუნიზმის ზეიმმა“ მხოლოდ ორ დღე ნახევარს გასტანა და ბოლომდე ვერ შეასრულა ლაკმუსის ფუნქცია, თორემ ერთხანობას კიდევ რომ გაგრძელებულიყო რესტავრაციის პროცესი, გემიდან გაქცეული ვირთხების რიცხვი ცოტა მეტი იქნებოდა და მხოლოდ დღევანდელი სულმოკლე და ჭკუამოკლე კომუნისტები არ შეგვრჩებოდნენ ხელში მოღალატეებად, მათი ძველი მეგობრებიც გამონახავდნენ საერთო ენას ავანგარდისტ-მოღალატეებთან. ძველი ცოდვებისათვის არავის მოეთხოვება პასუხი, მაგრამ დღევანდელ დღეს მთელი სიმკაცრითა და პასუხისმგებლობით უნდა დაისვას საკითხი, რათა **ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალოს საქართველოში კომუნისტური პარტიის ფუნქციონირება.**

ყველა პიროვნება, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოღვაწეობასთან, უნდა მიეცეს პასუხისგებაში, როგორც ერის მოღალატე და დაისაჯოს კანონის მთელი სიმკაცრით.

ყველა პიროვნება, რომელსაც კიდევ ჯიბით დააქვს კომპარტიის მანდატი , უნდა ჩამოცილდეს ნებისმიერ პასუხსაგებ თანამდებობას (მეტადრე ქვეყნის სულიერი ცხოვრების სფეროში), იქნება ეს უზენაესი საბჭოს თუ საკრებულოს წევრი, რედაქტორი თუ სკოლის დირექტორი.

14 აგვისტოს (ახ. სტილით 28 აგვისტოს) არის ღვთისმშობლის მიძინება

ᲢᲠᲝᲞᲐᲠᲘ: ᲨᲝᲑᲐᲡᲐ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲔᲑᲐᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲠᲮᲔ, ᲓᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲣᲢᲔᲕᲔ, ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲝ. ᲛᲘᲮᲕᲔᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲓ ᲓᲔᲓᲐ ᲔᲑᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐ ᲐᲜ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗᲐ ᲨᲔᲜᲘᲗᲐ ᲘᲮᲡᲜᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲣᲚᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐ.

ᲛᲔᲢᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ)

არავის ვუდგებით მსაჯულად, მაგრამ ბოლოსდაბოლოს საქართველოშიც უნდა დადგეს ჟამი, როდესაც დაისჯება ბოროტება და იზეიმებს სიკეთე.

და კიდევ ერთი. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა, ცხადია, არ დააყოვნეს და სიმხდალეში დასდეს ბრალი საქართველოს ხელისუფლებას. მათ დღესაც არ ეყოფათ ვაჟკაცობა იმის აღიარებისთვის, რომ მომგებიან პოზიციაში დგომა არც თუ მომგებიან პოზად იქცევა, როდესაც მჟღავნდება პოლიტიკური ფარსი. ამით ოდნავადაც არ ვაყენებთ ჩრდილს იმ ათასობით რუსი და ბალტიისპირელი ადამიანის თავგანწირვას, რომლებიც გულწრფელი შეუპოვრობითა და თავდადებით იცავდნენ თავიანთ ქვეყანას, რომლებიც შიშველი ხელებით, მუშტმოღერებულნი ეკვეთნენ ტანკებს, იმ რუს ჭალებს, რომლებიც საოცარი უდრეკლობით, ხმის ჩახლეჩამდე ევედრებოდნენ სუკ-ის ოფიცრებს ტანკები უკან მიებრუნებინათ. ქედს ვიხრით იმ დაღუპულთა წინაშე, რომელთა მსხვერპლად შეწირვა უკვალოდ არ ჩაივლის, რადგან ურჩხულს, რომლის გადასარჩენად ესოდენ წარუმატებელი სპექტაკლი თამაშდება, ვერავითარი ძალა ვეღარ იხსნის.

რა სიამოვნებით იქოთქოთებდნენ იგივენი, მოვლენები სხვაგვარად რომ განვითარებულიყო **და საქართველოს** ამჯერადაც მსხვერპლი ენახ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პოლიტიკური მოღვაწე ხომ უნდა განსხვავდებოდეს დიასახლისისაგან, **რომელიც** სამზარეულოში ნახავს ჭრის, თან რადიოთი ისმენს საბჭოეთში დატრიალებულ ამბებს და გულაჩუყებული იცრემლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია – 120

120 წელი შესრულდა ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან. დღეს უკვე თამამად ვამბობთ, რომ იგი ახალი ქართული პროფესიული მუსიკის კლასიკოსია, რითაც ვაღიარებთ ათწლეულობით უგულვებელყოფილი ძველი ქართული პროფესიული მუსიკის არსებობას. სწორედ ზაქარიამ გადო მკვიდრი ხიდი ქართული სასულიერო და ახალ ევროპულ მუსიკას შორის. საოპერო ფორმაში გაამთლიანა ხალხური მუსიკის დასავლური და აღმოსავლური, გლეხური და ქალაქური დინებები. თავისი სამი ოპერიდან ორში ესთეტიკურ სრულყოფილებას მიაღწია.

კომპოზიტორის შემოქმედებას პატივი და მკვლევართა ყურადღება არ დაჰკლებია, თუმცა იყო მის მიმართ ნიჰილიზმის პერიოდებიც, შეგალითად 30-იან წლებში, პროლეტკულტის აყვავებისას და 60-იან წლებში, მოდერნისტული საკომპოზიტორო სტილების გავრცელების ხანაში. ფალიაშვილს მიუძღვნეს მონოგრაფიები გამოჩენილმა ქართველმა მუსიკისმცოდნეებმა, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი რამ მისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან ჯერ კიდევ ბინდითაა მოცული. ეს განპირობა საბჭოეთში დამკვიდრებულმა სტერეოტიპმა, რომლის მიხედვით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ეროვნულ შემოქმედთა ბიოგრაფიის სოციალურ-ფსიქოლოგიურ შესწავლას, ევროპულ ხელოვანთა პორტრეტები იქმნებოდა მანკიერი იდეოლოგიური რაკურსით, ხოლო რუსებისა კი სავსებით გაიდეალებულად იყო წარმოდგენილი. ზაქარია ფალიაშვილის შემთხვევაში გაკვრით მოიხსენებოდა მისი ჩამომავლობა მორწმუნე კათოლიკე ოჯახიდან შხოლოდ იმის გამო, რომ ამან გავლენა იქონია მის პროფესიულ ჩამოყალიბებაზე, ხოლო პიროვნების შოფლმხედველობის, რწმენის, ფსიქოლოგიური წყობის საკითხების გაშუქება კი შეუძლებელი იყო. ამიტომ კომპოზიტორის სრული შემოქმედებითი პორტრეტი ჯერ კიდევ შესაქმნელია. ამას იმსახურებს შრომით დაღლილი, ყოფითი უბედობით დატანჯული ქართული მუსიკისათვის თავდადებული შემოქმედის ხსოვნა, მისი შემოქმედების სიყვარული კი ნებას აძლევს ყოველ ქართველს, მოიხსენიოს იგი ისევე სახელით, როგორც ილია, ვაჟა, აკაკი.

სევდია უგრეხელიძე

სიმდიდრე, შეძლება, ქონება

უველა ვრის ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა იგი უნდა დაფიქრდეს წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე და გაიაზროს თავისი ადგილი, როლი და დანიშნულება მარადცვალებად დროის დინებაში.

საქართველო უზარმაზარი პოლიტიკური ძვრების მიჯნაზე დგას. საბჭოთა კავშირში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ უნდა დაჩქაროს ჩვენი სვლა დამოუკიდებლობისაკენ. წინასწარ ვერავინ იტყვის, რა სიმძაფრით განვითარდება მოვლენები, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იმპერია ინგრევა, დროს უკან ვეღარავინ დაიბრუნებს. ერთია მხოლოდ გაურკვეველი, რა სიძლიერისა და ხანგრძლივობის იქნება მომაკვდავის კონვულსიები.

შესაძლოა დიდი განსაცდელი გველის წინ, შესაძლოა უმტკივნეულოდ დავაღწიოთ თავი ურჩხულის ხახას. ასე თუ ისე, ჩვენ მოგვიწევს დაფიქრება იმაზე, თუ რას ვუპირისპირებთ განსაცდელს, ან რით შევდივართ ახალ, მართლა დამოუკიდებელ ცხოვრებაში.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც თავისუფალი ეკონომიკის პირობებში წარმოიშვება ჩვენს წინაშე, არის ჩვენი დამოკიდებულება (სხვისი ან ჩვენი) სიმდიდრისა და სიღარიბის მიმართ.

მინდა მკითხველს რამდენიმე დაკვირვება (გავუზიარო საქართველოს ტრადიციული ყოფის ისტორიიდან. ალბათ, შეგიმჩნევიათ, რომ საქართველოში არსებობს ქედმაღლური დამოკიდებულება ბევრი ფულის მიმართ. მეტიც, რაღაც ხანია ჩვენი მეტყველებიდან თითქმის ამოვაგდეთ სიტყვა მდიდარი, არ ვამბობთ — „ესა და ეს მდიდარი კაცია“ — უფრო ხშირად ვიტყვით ხოლმე — „ამას ბევრი ფული აქვს“ და „რაღაც დამამცირებელ აზრს ვდებთ ამ სიტყვებში. როგორც ჩანს, ჩვენთვის არ არის ერთი და იგივე — ფულის ქონა და სიმდიდრე. სიმდიდრე ფართე ცნებაა და მოიცავს ღირსებას, პატივს, სხვაზე მეტი შეძლების ქონას (აქედან არის ნაწარმოები სიტყვა შეძლებული). „ბევრი ფული“ მხოლოდ კონკრეტული მოცემულობის აღმნიშვნელი ცნებაა და ჩვენს აზროვნებაში მას ჩამოშორებული აქვს ის დამატებითი, დადებითი ნიშნები, რომელსაც ბუნებრივად იკრებს სიტყვა „სიმდიდრე“.

რატომ ხდება ასე? რატომ ემიჯნება ერთმანეთს ქართველის აღქმაში ორი, ერთმანეთის მომცველი ცნება? რატომ ითვლება საქართველოში დამამცირებლად ის, რაც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ადამიანის ღირსების განმსაზღვრელ პირობად არის მიჩნეული?

ვფიქრობ, რომ 70-წლიანი სოციალისტური გამოცდილება, და სრულიად იდიოტური (ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას) იდეოლოგია აქ არაფერ შუაშია, ფესვები უფრო ღრმადაა საძიებელი.

ვცადოთ ერთმანეთს დავუკავშიროთ რამდენიმე ფაქტი და პასუხი თავისთავად გაჩნდება.

1. საქართველო საუკუნეების მანძილზე უაზლოეს მეზობლობაში თანაარსებობდა სიმდიდრითა და ფუფუნებით განთქმულ აღმოსავლეთთან. უნდა ითქვას, რომ ჯვაროსნულ კამპანიასთან დაკავშირებით ევროპელთა მიერ აღმოსავლეთის დალაშქვრამ არსობრივად შეცვალა დასავლეთის კულტურული ორიენტაცია. აღმოსავლეთთან ურთიერთობამ ევროპას ფუფუნებისა და სიმდიდრის წინაშე აღფრთოვანება დაუმკვიდრა. გაჩნდა ახალი ლიტერატურული მოტივები, ახალი არქიტექტურული სტილი, ახალი ურთიერთობები; ერთი სიტყვით, აღმოსავლეთის დალაშქვრამ ცხოვრების ახალი სტილი მოიტანა დასავლეთში. საქართველოს ორასწლიანი არაბობაც აქვს გადატანილი, თურქობაც, სპარსობაც და ამას ჩვენს აღქმაზე, ჩვენი ცხოვრების წესზე კვალი არ დაუმჩნევია, არც არქიტექტურაში, არც ყოფაში, არც ლიტერატურაში არ დამკვიდრებულა დამამცირებელი ქედის მოხრა სიმდიდრის, ფუფუნების წინაშე.

ჩვენს ტრადიციულ დამოკიდებულებას სიმდიდრესთან ყველაზე სრულად რუსთაველი გამოხატავს — სიმდიდრე შეძლებაა და არა ქონება. ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ სიმდიდრის ხსენებას ყოველთვის ახლავს — წყალობა, სიუხვე, გაცემა... ციტატა შეგნებულად არ მოგყავს.

2. ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ გელათი დავით აღმაშენებლის აშენებულია, საქართველო საკუთა თამარის სახელთან დაკავშირებული ადგილებით — თამარის ხიდი, თამარის ციხე, თამარის წყარო... სად ათვალნენ ღამეს ჩვენი მეფეები?. რატომ არ შემორჩა არც ერთი სამეფო სასახლე? მთელი მსოფლიოს დიდი და პატარა ქვეყნები მოფენილია მეფეთა სასახლეებით, არსებობს საზაფხულო რეზიდენციები, მთელი სამეფო ჭალაქები, სატრფოებისა და ფავორიტებისათვის აშენებული პალაცოები, ცალკე სასახლეები ტახტის მემკვიდრეებისათვის და სხვა... ჩვენ რა გვაქვს? ერთი სასახლე თელავში და მეორე თბილისში, ერეკლეს შოედანზე. ეთქმის ამას სასახლეებს?... მაგრამ რამდენია გელათი, ნიკორწმინდა, ალავერდი, ოშკი, სვეტიცხოველი, სამთავისი, ჯვარი, სიონი..

3. მდიდარ, შეძლებულ გვარად საქართველოში ის გვარი ითვლებოდა, ვისაც მდიდარი ეგლესია ჰქონდა. საგვარეულო ძვირფასეულობა ხატში იჭედებოდა. აქედან უმდიდრესი ტრადიცია ჰედურობისა.

4. ფაქტობრივად ქართულ საზოგადოებას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი თავის ფუძეწარმოდგენასთან შეძლებასა და ქონების შესახებ. ამისი ნათელი მაგალითებია სარაჯაშვილის, ზუბალაშვილებისა და სხვა მართლა მდიდარ ქართველთა ცხოვრების წესი. სიმდიდრე არის შესაძლებლობა ჰქმნა სიკეთე და არა შენახული, ან დახარჯული ფულის რაოდენობა. ქართველ მეცენატთა ცხოვრება და მოღვაწეობა ამისი ნათელი დასტურია.

5. თამარის მეფობის დროს ყველა უცხოელს თვალს წყვეტდა საქართველოს სამდიდრე. მაგრამ მაშინაც კი, როცა საქართველო გაბრწყინებულიც იყო, მშვიდობიანიც და მდიდარიც, არავის ყურადღებას არ იპყრობდა მეფის ან თავად-აზნაურთა ფუფუნება. მოგზაურთა უმრავლესობის განცვიფრებას სხვა ფაქტი იწვევდა — აზნაურნი და უაზნონი ერთნაირად კარგად იცვამენ და განურჩევლად გვარიშვილობისა ყველა ღორის ხორცს ჭამს, კარგად იკვებებიანო. ესეც უპრეცედენტო შემთხვევაა. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში არსებობდა ქვეყანა, რომელიც მნახველს აკვირვებდა არა ცალკეულ პირთა სიმდიდრით, არამედ ცხოვრების საერთო დონის სიმაღლით. ამგვარი ფაქტის მოხმობა, ალბათ, მრავლად შეიძლება საქართველოს კულტურული, ყოფითი თუ ისტორიული ტრადიციიდან. დღეს ჩვენი ისტორიის გადამწყვეტ ჟამს, როდესაც დიდი განსაცდელის ან დიდი აღმასვლის წინაშე ვდგავართ, მინდა კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდეთ ჩვენი ნასიათის ამ გამორჩეულ თვისებას და მომავალიც იმის გათვალისწინებით ვაშენოთ, რაც ოდითგან მოგვდგამს.

საქართველო უნდა გამდიდრდეს, სხვანაირად მას გაუჭირდება თავისი არსობის შენარჩუნება სამყაროში, სადაც ფული, ანუ ეკონომიკა მრავალწილად განპირობებს პოლიტიკას, მცირე ერების ბედს, თვით კულტურასაც კი. საქართველო უნდა გამდიდრდეს, მაგრამ არასოდეს გაიგივოს შეძლება ქონებასთან.

ჩვენ იმ დროზე უნდა ვიოცნებოთ, როცა აღსდგება ჩვენს ქვეყანაში წყალობის, გაცემის, ქვრივ-ობოლთა პატრონობის, აღმშენებლობის საუკუნოვანი, უნიკალური ტრადიცია და ფულის ქონა სირცხვილად კი არა ღირსებად ჩაითვლება.

თამარ ედარალიძე

ესტონეთის

ამბები

ტალინი დაძაბული, ფეთქებადსაშიში ვითარებაა. 20 აგვისტოს ტალინის სამოქალაქო აეროპორტში დაეშვა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და შედუსანტეთა რაზმი გადმოსხა (200 მედესანტე). ზოგიერთი მონაცემებით მოსალოდნელია მათი რიცხვის გაზრდა. ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების კოლონა ტალინში დღის 2 სთ-ზე შევიდა და მოსახლეობის თვალწინ განლაგდა ქალაქის სამ წერტილში: პორტის, დიდი საცხოვრებელი მასივის — მუსტამეეს და საკავშირო დაქვემდებარების ქარხნის „Двигатель“-ის რაიონში.

რესპუბლიკის ინტერმოძრაობამ ГКЧП-ს შექმნისთანავე მიმართა იანაევს ჯარების შემოყვანის თხოვნით. ჯარების შემოყვანისთანავე კონფრონტაცია ნაციონალურ ძალებსა და ინტერფრონტს შორის კიდევ უფრო გაძლიერდა. ინტერფრონტელებმა ხურგს უკან რეალური შეიარაღებული ძალა იგრძნეს. ინტერმოძრაობის რეგულარულად მოქმედი რადიო „ნადეჟდა“ განუწყვეტლივ მოუწოდებს ხალხს და მთავრობას, დაემორჩილონ ГКЧП-ს რეჟიმს. ოფიციალური რესპუბლიკური პრესიდან პუტჩისტების და ინტერმოძრაობის მხარდამჭერი პოზიცია დაიკავა გაზეთმა „მოლოდიოჟ ესტონიი“.

მთელი დღის განმავლობაში რადიოთი და ტელევიზიით პერიოდულად გამოდიოდა ესტონეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არნოლდ რუიტელი. იგი მოსახლეობას მოუწოდებდა, არ შესულიყვნენ კონფლიქტში ჯარისკაცებთან. მთავრობის სახლსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების შენობებს გაძლიერებულად იცავს ესტონეთის პოლიცია და მოხალისენი.

რადიოსა და ტელევიზიის თაობაზე ბრძანების გამოცხადების შემდეგ ტალინის მცხოვრებლებმა ბარიკადები ააგეს ამ შენობებთან. ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა მოითხოვა გაეთავისუფლებინათ (დაეტოვებინათ) რადიოსა და ტელევიზიის შენობა, რაზედაც ა. რუიტელმა უარი განაცხადა.

ამავე დღეს ტალინში თავისუფლების მოედანზე ჩატარდა მიტინგი ესტონეთის სახალხო ფრონტის ინიციატივით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა დემოკრატიული და ეროვნული პარტიის, ორგანიზაციისა და მოძრაობების წარმომადგენლებმა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ესტონეთის სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეები, პარლამენტის წევრები, ესტონეთის პრემიერ-მინისტრი ედგარ სავისაარი. მიტინგზე გაისმა საპროტესტო გაფიცვებისაკენ მოწოდებები იანაევისა და კომპანიის ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რუსეთის დემოკრატიული ძალების და სხვა რესპუბლიკების შხარდაჭერისათვის, რომლებიც დიქტატურის წინააღმდეგ იბრძვიან.

ანალოგიური მიტინგები ჩატარდა. ტარტუში, პიარნუში და სხვა ქალაქებში.

„ვაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ თხოვნით (ამ გაზეთის მუშაობა შეწყვეტილია) რედაქციის მასალები რეგულარულად გადაეცემა და დაიბეჭდება რუსულენოვან გაზეთში „ესტონია“.

მოსახლეობასთან საუბარში ქუჩაში მდგომი სამხედროები აღნიშნავდნენ, რომ ისინი სრულიად მოკლებულნი არიან რაიმე ინფორმაციას. მათთვის ინფორმაციის ერთადერთი წყარო საკუთარი მეთაურებია. გამოკითხული ოფიცრების უდიდესი ნაწილი ამბობს, რომ მათ არ უნდათ მოსახლეობის წინააღმდეგ იარაღი გამოიყენონ.

ფრიდა იოსანენი,
გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ტალინში.

ქართული ფულის სახელწოდებისათვის

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ერი აქედანვე უნდა ჭმნიდეს მტკიცე ნიადაგს, რათა ღირსეულად ჩადგეს იმ სუვერენული ერების თანამგზავრობაში, საიდანაც ამ შვიდი ათეული წლის წინ ძალადატანებით გამოიყვანა რუსეთის მოდერნიზებულმა იმპერიამ.

რასაკვირველია, ნებისმიერ თვითმყოფად ქვეყანას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივი დროშა, ღერბი, ჰიმნი და ა. შ. მაგრამ ყოველივე დანარჩენი თავის ბრწყინვალებას ჰკარგავს, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია რეალური დამოუკიდებლობის ყველაზე უტყუარი ატრიბუტი — **ეროვნული ვალუტა.**

მსოფლიოს 170-მდე სუვერენული ქვეყნიდან სულ რამდენიმეს დასახელებას თუ შეძლებთ საკუთარი ვალუტა რომ არ გააჩნდეს, მაგრამ იმ სახელმწიფოთა რიგიდან ვისაც საკუთარი ვალუტა აქვს, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი, რომელსაც საკუთარი ფულის საქართველოზე უფრო მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს.

საქართველო სამონეტო ცივილიზაციის უძველესი კერაა. კოლხეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში მოიჭრა ადგილობრივი ვერცხლის მონეტები, რომლებიც დახვეწილი გრავიურული სახითა და მაღალსინჯიანობით მსოფლიოს უნიკალურ მონეტათა რიცხვს განეკუთვნება.

ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნიდან დაწყებული, 1834 წლამდე, საქართველოში თითქმის არასოდეს შეწყვეტილა საკუთარი მონეტების მოჭრა და მიმოქცევა.

ქართული ფულის მოჭრა კვლავ განახლდა 1919 წელს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გამოსცა ქაღალდის ფულის ნიშნები (ბონები), რომლებიც თავისი მტკიცე კურსის შედეგად საქართველოს ბოლშევიკური ანექსიის შემდეგაც კი იმეჭდებოდა.

ქართული ფულის ისტორია 25-საუკუნოვან დიაპაზონს მოიცავს, ამიტომაც სავსებით ბუნებრივად მოგვეჩვენება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ამასწინანდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ ეროვნული ვალუტა შემოღებული იქნება 1994 წლის 1 იანვრიდან.

ცხადია, რომ ამ დიდმნიშვნელოვან აქტამდე უამრავი საპრო ლონისძიება იქნება ჩასატარებელი, მათ შორის აუცილებლად მიგვაჩნია, შეირჩეს მომავალი ქართული ფულის ერთეულების — ბანკნოტისა და ხურდა მონეტის შესაფერისი ორიგინალური სახელები. ეს კი, არც ისე იოლი საქმეა, რადგან ამჟამინდელი საბჭოთა ფულის ერთეულების — „რუბლისა“ და „კოპიეკის“ ექვივალენტური, ქართულ ტერმინებად ხმარებული „მანეთი“ (წარმოქმნილი ლათინური „მონეტას“ ტრანსფორმირების შედეგად) და „კაპიკი“ (რომელიც დაბახინჯებული „კოპეიკაა“), ძალიან საეჭვოა გამოდგეს ქართული ფულის ერთეულების სახელებად.

მომავალი ქართული ბანკნოტისათვის „მანეთის“ დარქმევის მომხრეთა აზრით, ამ ტერმინის შეცვლა სხვა, რომელიმე სახელწოდებით, არცა ღირს, რადგან ის მიღებული და დამკვიდრებულია ხალხში და ხმარებიდან ამოღება ძნელი საქმე იქნება.

რუსეთის იმპერიის დამღუპველი ზეგავლენით, რუსული „რუბლის“ ექვივალენტად, ქართულ ტერმინად ლათინური წარმოშობის სიტყვის — „მანეთის“ ხმარებამ ძალზე უარყოფითი და მიუღებელი გავლენა მოახდინა ქართველი კაცის ცნობიერებაზე. ამის აღმოფხვრისათვის საკმაო დროა საჭირო, მაგრამ გამოსწორებაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ არსებული სიძნელეების მიუხედავად.

გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ სრულიად გაუმართლებელი იქნება, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის ივლისში დაშვებულ შეცდომას — ახლად გამოცემულ ქართულ ფულს არაქართული „მანეთი“ რომ უწოდეს — არ გამოვასწორებთ.

ქართული ფულის სახელწოდებაზე მსჯელობა პრესაში ჯერ კიდევ გასული წლის 9 ოქტომბერს, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დაბეჭდილი ჩვენი წერილით — „აღვადგინოთ ეროვნული ფული“ დაიწყო, რომელშიც საზოგადოებას შევთავაზეთ ტერმინები: „მარჩილი“ ან „ქართი“ — ბანკნოტისათვის, ხოლო „კერმა“ — ხურდა მონეტისათვის.

წერილში დასმულმა საკითხმა მრავალი ადამიანი დააინტერესა, მრავალი ორიგინალური მოსაზრება გამოითქვა რესპუბლიკური პრესის საშუალებით.

ეკონომისტ ვ. პაპავას წინადადებას, მომავალი ქართული ბანკნოტისათვის წარსულში ხმარებული ვერცხლის მონეტის ზოგადი სახელის — „თეთრის“ დარქმევის თაობაზე, მხარი დაუჭირეს ბატონებმა: გ. ბერაიამ (გაზ. „საქმე“, 26.10.1990 წ.), ზ. სარჯველაძემ და გ. ჯაფარიძემ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 8. III. 1991 წ.).

როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიოში, უკვე აღარსად იჭრება ვერცხლის მონეტები (თუ არ ჩავთვლით საიუბილეო მონეტებს), ხოლო მიმოქცევაში, მონეტის ადგილი უმთავრესად ქაღალდის ფულმა დაიკავა, ამიტომაც, ჩვენის აზრით, არ იქნებოდა მართებული, რომ მომავალი ქაღალდის ფულისათვის, ანუ ბანკნოტისათვის გვეწოდებინა ვერცხლის მონეტის ფურის პრიმატობით სახელდებული ტერმინი „თეთრი“... მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგან ქართული ფულის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მეტად იშვიათია ხურდა მონეტის ჭეშმარიტად ქართული სახელწოდება, შეიძლება მაინც აღვადგინოთ „თეთრი“, როგორც ფულის ტერმინი და დავარქვათ იგი არა ბანკნოტს, არამედ ხურდა მონეტას. ამ შემთხვევაში, მომავალი ქართული ხურდა მონეტისათვის „თეთრი“ იქნებოდა არა მხოლოდ ტრადიციული და წმინდა ეროვნული სახელი, არამედ შესაფერისიც.

ამასთანავე შინაარსიანი, ლაკონური და კეთილხმოვანი ტერმინი „თეთრი“ გაცილებით სჯობს, მომავალი ხურდა მონეტის სახელწოდებისათვის დღემდე წამოყენებულ ყველა ვარიანტს — „კერმას“, „რვალს“, ან „მწვლილს“, „მისხალს“, „ეგრს“ ან „კოლხას“ და ა. შ.

რაც შეხეება მომავალი ქართული ბანკნოტის სახელწოდებას, პრესაში ამ მიმართებითაც მრავალი წინადადება იქნა წამოყენებული: „დრამა“, „ივერი“, „ლარი“, „ბერი“ და სხვა, მაგრამ ჯერჯერობით, უველაზე მეტი მომხრე „მარჩილს“ ჰყავს.

წლეულს, 27 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დავალებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს საალტო დარბაზში თავი მოიყარეს საქართველოს მთავრობის, მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლებმა, ეკონომისტებმა, ისტორიკოსებმა და იურისტებმა, რომელთაც მომავალი ქართული ვალუტის სახელწოდებაზე მსჯელობისას, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქართული ბანკნოტისათვის „მარჩილის“ დარქმევას.

ამრიგად, რადგან მომავალი ქართული ბანკნოტის სახელწოდებისათვის შემოთავაზებულ მრავალ ვარიანტს შორის საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა „მარჩილს“ მიანიჭა უპირატესობა, ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა ამომწურავად განგვმარტა ეს ტერმინი.

„მარჩილი“, როგორც ფულის ერთეულის აღმნიშვნელი სახელი, მოხსენიებულია ჯერ კიდევ იმერთა მეფე ბაგრატის 1545 წლით დათარიღებულ გელათის სიგელში. 1629 წელს რომში დასტამბულ პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნში — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“— ტერმინი „მარჩილი“ განმარტებულია, როგორც „სკუდო“, რაც მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიურ მონეტას ეწოდებოდა.

„მარჩილი“ განმარტებული აქვთ გამოჩენილ მეცნიერებსა და ლექსიკოგრაფებს: სულხან-საბა ორბელიანს, თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონებს, ნიკო და დავით ჩუბინაშვილებს, ივანე ჯავახიშვილს და სხვებს.

პროფ. ს. კაკაბაძემ ნაშრომში „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“ (იხ. „საისტორიო მოამბე“, თბ., ტ. 1, 1925 წ.), პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ეჭვქვეშ დააყენა „მარჩილის“ ქართული წარმოშობა. მისი ზრით, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული ევროპული მონეტის — „ტალერის“ აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ უნდა ყოფილიყო.

ამ ვარაუდმა დასრულებული და დამჯერებელი სახე მიიღო ნუმიზმატ რ. ქებულაძის მონოგრაფიაში „ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში მე-15-18 საუკუნეებში“ (იხ. გვ. 108, თბ., 1971 წ.), სადაც კითხულობთ: „რაც შეეხება მარჩილს, როგორც ფულის ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინს, პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, იგი გერმანული მარკის სახელწოდებიდან უნდა წარმოშობილიყო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინი უფრო ესადაგება ვენეციური ვერცხლის ნომინალს **მარჩელოს**, რომელიც მე-15 საუკუნის შუა წლებიდან მე-16 საუკუნის 50-იან წლებამდე იჭრებოდა... ამ ტერმინის გავრცელება საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროებზე იტალიელთა სავაჭრო საქმიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული“.

ცნობილი ევროპელი ნუმიზმატების: ჰ. ფენგლერის, გ. გიროუს და ვ. უნგერის ერთობლივ ნაშრომში— „ნუმიზმატის ლექსიკონი“ (გვ. 146, მოსკოვი, 1982 წ.) კითხულობთ: „მარჩელო — ნახევარლირიანი მონეტა. სახელწოდება წარმოსდგა ვენეციელი დოჟის (ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მეთაურთა ტიტული — ნ. ჯ.) ნიკოლო მარჩელოსაგან 1473-74 წ.წ. ...მარჩელოს მოჭრა 1550 წლამდე გრძელდებოდა“.

„მარჩილის“ განმარტება საბოლოოდ ასეთი სახით ჩამოყალიბდა: „მარჩილი — ვერცხლის ფულის სახელწოდება საქართველოში (სახელი უნდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის „მარჩელოს“ სახელწოდებიდან) გავრცელდა მე-16-17 სს-ში. როგორც ვახტანგ VI-ის „დასტურლამალიდან“ იერკვება, მე-18 საუკუნეში მარჩილი 12 შაურს, ანუ 3 აბაზს შეადგენდა. მისი მასა სხვადასხვანაირი იყო. მარჩილი იხმარებოდა მე-17 საუკუნეში საქართველოში გავრცელებული ევროპული მონეტის — ტალერის აღსანიშნავადაც. ამ დროს, ტალერი 3 აბაზად ფასობდა, ხოლო 3 აბაზი 1 მარჩილს შეადგენდა“ (იხ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 6, თბ., 1983, გვ. 473).

ამრიგად, ტერმინი „მარჩილის“ იტალიური, კერძოდ, ვენეციური წარმოშობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. მით უმეტეს მაშინ, როცა ამ მოსაზრების ამტკიცებს ბევრი კომპეტენტური მკვლევარი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა საკუთარი ფულის ერთეული, ბონის სახით, რომელსაც, სამწუხაროდ, არაქართული სახელი— „მანეთი“ ერქვა. მოგვიანებით, გაჩნდა სურვილი შეეცვალათ იგი „მარჩილით“, რომელიც მაშინ ქართული წარმოშობის ტერმინად იყო მიჩნეული და ამ მიმართულებით გადადგა კიდეც კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, 1920 წლის ივნისში, მხატვარმა ე. ლანსერემ დახატა 25 „მარჩილის“ ნომინალური ღირებულების მქონე ბანკნოტი, რომელიც 1921 წლისათვის უნდა გამოსულიყო მიმოქცევაში.

სამწუხაროდ, 1921 წლის სოსხლიანმა თებერვალმა ჩაშალა ეს პატრიოტული წამოწყება.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ 70 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. გამოირკვა, რომ „მარჩილი“ არ ყოფილა ქართული ტერმინი. სიტყვა მარჩილი უნებლიედ მოგვაგონებს მორჩილს, ანუ პატარას, რაც ამ ტერმინის გარკვეულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ვითვალისწინებდით რა, რომ ტერმინ „მარჩილს“, დადებით მხარესთან ერთად, გარკვეული ნაკლიც აღმოჩენოდა, ჯერ კიდევ გასული წლის 9 ოქტომბერს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ აღვნიშნავდით: „თუ ქართველი ერის უმრავლესობა არ მოისურვებს „მარჩილის“, როგორც ტერმინის, აღდგენას, კარგი იქნებოდა, თუ მომავალი ქართული ფულის ერთეულს ფრანგული „ფრანკისა“ და ლიტვური „ლიტის“ ანალოგიით „ქართს“ დავარქმევდით“.

წლეულს, გაზეთ „თბილისის“ 2 ივლისის ნომერში, დაიბეჭდა ბატონი გ. მჭედლიძის სტატია „ფრანგული ფრანკი, ქართული ივერი“, სადაც კითხულობთ: „თუ მხედველობაში მივიღებთ ეროვნული ფულის ნიშნისადმი წასაყენებელ ყველაზე მნიშვნელოვან პირობას — მის დასახელებაში საქართველოს ტერიტორიული (გეოპოლიტიკური) მთლიანობის უპირობო აღქმის გათვალისწინებას, ანუ გამოხატვას, ვფიქრობთ, ახალი ქართული ფულის ძირითად ერთეულს უნდა ეწოდოს ტაბილქართული სახელი — ივერი, რაც, ალბათ, ყოველმხრივ მიესაღება და არავითარ უხერხულობას არ ექნება ადგილი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი გ. მჭედლიძის წინადადება, ქართულ ფულს ეწოდოს „ივერი“, მოგვაგონებს ბატონი გ. გეგეჭკორის წინადადებას ქართულ ფულს ეწოდოს „ეგრი“ ან „კოლხა“, მაგრამ როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ (იხ. გაზ. „საქმე“ № 9 1991 წ.), თუ მომავალი ქართული ფულის ერთეულს „იბერს“, „კოლხას“, ან „ივერს“ და „ეგრს“ ვუწოდებთ, რაც არსებითად ერთი და იგივეა და ამით ღირსეულ პატივს მივაგებთ უძველეს აღმოსავლურ-ქართულ და დასავლურ-ქართულ სამეფოებს, მაშინ რაღა დაშავა გაცილებით ადრე წარმოქმნილმა პირველმა ქართულმა ადრეკლასობრივმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ — დიაოხმა, ანუ დაიაენმა, რომლის სახელიც დღემდე შემორჩა სამხრეთ ქართულ პროვინციას — ტაოს.

რაც შეეხება ბატონ გ. მჭედლიძის იმ მოსაზრებას, რომ ფულის ერთეული თავისი სახელწოდებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გამომხატველი უნდა იყოს, ვფიქრობთ, რომ ტერმინი „ივერი“ სწორედ რომ ეწინააღმდეგება ზემოთქმულ პირობას, რადგან დასაბამიდან დღემდე, ცნება ი ვ ე რ ი ა მხოლოდ ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთი ნაწილის აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

ისმის კითხვა — რომელი სიტყვა შეიძლება იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გამომხატველი ქართული ბანკნოტის სახელწოდებაში?

ერთადერთი ასეთი სიტყვა, ჩვენის აზრით, არის „ქართი“.

ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა საერთო-ქართული წარმომავლობის ტომების თანდათანობითი კონსოლიდაციის შედეგად. ქართველების ერთიან ერად ფორმირების უაღრესად რთულსა და ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში პოლიტიკურ-კულტურული ჰეგემონია ყოველთვის ქართების ტომს ეკისრებოდა, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო განსახლებული. სწორედ ამიტომ, სიტყვა „ქართიდან“ წარმომდგარი ცნება „ქართველი“, დროთა განმავლობაში, საერთო-ქართული წარმოშობის ტომების — კოლხების, იბერების და სხვ. გამაერთიანებელ სახელწოდებად იქცა.

აკადემიკოს გ. მელიქიშვილის აზრით, სახელ „ქართლში“ ძირეული სიტყვა „ქართი“ უნდა იყოს. თავდაპირველად ეს ტერმინი ქართლის მეფეთა უძველესი რეზიდენციის, დიდი, გალავანშემოვლებული ციხე-სიმაგრის სახელი იყო. ზოგი მონაცემი იმაზე მეტყველებს, რომ ეს სიტყვა სწორედ ამგვარი — გამაგრებული, შემოზღუდული ადგილის ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო.

„ქართიდან“ მოშდინარე ცნება ქართველიდან მივიღეთ ცნება საქართველო. ისტორიული საქართველო კი მოიცავდა როგორც კოლხეთს, ისე იბერიას და სხვა ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს.

სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის საფიცარი ცნების — საქართველოს ძირი სიტყვა „ქართი“ ყველაზე შესაფერისი სახელწოდება იქნება მომავალი ქართული ბანკნოტისათვის.

შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა მომავალი ბანკნოტისათვის ეროვნული ერთიანობის პრინციპით ნაკარნახევი სახელის — „ქართის“ დარქმევა ქართების ტომის საერთო-ქართული წარმომავლობის სხვა ტომებთან ერთგვარი წინ დაყენების მცდელობადაც კი მიიჩნიოს, მაგრამ ასეთებს შეიძლება შევახსენოთ რამდენიმე ცოცხალი მაგალითი მსოფლიოს ფულების სახელწოდებათა პრაქტიკიდან.

1. ცნობილია, რომ სამყაროს სხვა ხალხების მსგავსად, თანამედროვე ფრანგი ერის შემადგენლობაშიც აღირიცხებიან ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფები: ბურგუნდიელები, პიკარდიელები, ოვერნელები, ნორმანდიელები და ა. შ. მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ფრანგთა ეროვნული ბანკნოტის სახელად „ფრანკის“ არსებობას;

2. ავღანელი ერის შემადგენლობაშიც არიან გილზაიების, ვაზირების და სხვათა ეთნოგრაფიული ჯგუფები, მაგრამ ავღანთა ბანკნოტს ეროვნული ერთიანობის სულით აღბეჭდილი „ავღანი“ ეწოდება;

3. ლატვიელთა შორისაც არიან: ლატგალები, ზემგალები, ვიდზემელები და აუგშზემლები, მაგრამ 1922-1940 წლების თავისუფალი ლატვიის რესპუბლიკის ბანკნოტს „ლატი“ ეწოდებოდა;

4. ლიტველი ერიც მოიცავს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს: ლიველებს, აუკტაიტელებს, უმაიტელებს, ზანგმანელებს და სხვებს, მაგრამ მათ ბანკნოტს ახლო წარსულშიც (1922-1940 წლებში) „ლიტი“ ერქვა და სულ ახლახან მოკრილ ეროვნულ ბანკნოტსაც „ლიტი“ დაარქვეს.

პროფ. კ. დანელიას აზრით, „ეთნიკურ ფუძეზე დამყარებული ფულის სახელწოდება გარკვეულ კონტექსტში ერთგვარ უხერხულობას შექმნის“. თავდაპირველად, შესაძლოა, რომ ეს ასეც მოხდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ესეც დაიძლევა, ხოლო ქართული „ქართი“ ღირსეულ და საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიოს თავისუფალ ერთა ფულის ერთეულებში: ფრანგული „ფრანკის“, ავღანური „ავღანის“, ლატვიური „ლატის“ ლიტვური „ლიტის“ და სხვათა გვერდით.

პედაგოგ თ. ჩადუნელის აზრით, „ქართს“, „ქართული“ სჯობია, მაგრამ ლაკონური და კეთილხმოვანი „ქართი“, ჩვენის აზრით, ბევრად უკეთესია, ვიდრე უფრო გრძელი და ზოგადი „ქართული“. ანალოგიური ვითარებაა ბალტიისპირეთშიც. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ლიტველთა და ლატვიელთა ეროვნული თვითსახელწოდებებია: „ლეტუვაი“ და „ლატგალი“, ისინი თავიანთ ბანკნოტებს მაინც ლაკონურ „ლიტსა“ და „ლატს“ ეძახიან.

სახელწოდება „ქართის“ უპირატესობაზე ისიც მეტყველებს, რომ მომავალი ბანკნოტისათვის მისი დარქმევის შემთხვევაში, იგი საქვეყნო გაამეღავნებდა ქართველ ერში ჩამუხტულ, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობისაკენ სწრაფვის უმძლავრეს სურვილს.

ნიკო ჯავახიშვილი

აშოტ I დიდი, კურაპალატი

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის ერისმთავარ ჯუანშერის და მისი ძმის, იოვანეს გარდაცვალების შემდეგ, ხოსროიანთა სამეფო დინასტიის, ანუ მირიანის, პირველი ქართველი ქრისტიანი ხელმწიფის, შთამომავლობის დამცრობა-დაკნინების შემდეგ აღზევდა ბაგრატიონთა გვარი — „...განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“ (VIII ს. ბოლო —, IX ს. პირველი ნახევარი).

იმ დროს ქართლის სამეფო ცალკეულ სამთავროებად იყო დანაწევრებული, ამასთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი არაბებს ჰქონდათ დაჭერილი (თბილისის საამირო). დასავლეთ საქართველოში წარმოიქმნა ეგრის-აფხაზეთის სამეფო, რომელიც ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. დაჭუცმაცებული, დაშლილი ქვეყნის გაერთიანება აუცილებელი იყო. ამ პროცესის დაწყება აშოტ დიდის სახელთანაა დაკავშირებული.

„მატიანე ქართლისა“ ერისმთავარ აშოტ I-ის მოღვაწეობის შესახებ ცნობებს საკმაოდ ძუნწად გვაწვდის — „მაშინ ბერძენთა მეფემან მიუბოძა კურაპალატობა აშოტს, და მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თვინიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლი მთავრობდა კახეთს. მას ჟამსა გამოიალაშქრა აშოტ კურაპალატმან და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი-იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქვეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე. შემდგომად ამისსა მოვიდა ხალალ იხიდის ძე არაბიელი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიისა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“.

აშოტ კურაპალატის ხელმწიფების შესახებ გაცილებით ვრცლად მოგვითხრობს სუმბატ დავითის ძეს „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

„ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქვეყანასა მას შინა და სახლად მისსა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქვეყანა, რომელ არს გარემოს მისსა და მაშინ გაძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინაღდგომად. მათდა აშოტ და იგლტოდა მათგან“.

აშოტ დიდი ქართლში არაბების ხელისუფლებას აშკარად დაუპირისპირდა და ამის გამო იძულებული გახდა სამხრეთ საქართველოში გადასულიყო ოჯახითა და ამალითურთ. არაბებმა მას ლაშქარი დაადევნეს, მაგრამ აშოტ კურაპალატი მტერს შეებრძოლა და დაამარცხა — „და წარემართა, რათა წარვიდეს სპერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩვილვი, უხუცესი ადარნასე და შემდეგი ბაგრატ. ხოლო უმრწმესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა. და ერი თვისი მცირედ ჰყვა თანა, მკვიდრნი მისნი, დედაწულითურთ და შვილითურთ. მოიწევნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასა დამაშურალნი სლვისაგან, და გარდაეჰხდეს განსუენებად კიდესა მის ტბისასა. ჰამეს რა პური, და მცირედ მიერულა. და მძინარეთა ეწევნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა, და ჭნინსა მის ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევა მათ ზედა, და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი. წარვიდეს მუნით და მოიწევნეს ხევსა შავშეთისასა“.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იმ დროს გავერანებულ-გაპარტახებული იყო, აშოტ კურაპალატი ტაო-კლარჯეთში დაემკვიდრა, აღმშენებლობით საქმიანობას შეუდგა (მის დროს აშენდა მრავალი ეკლესია-მონასტერი, მათ შორის, ხანთა). ამასთან ერთად, დავით კურაპალატი ებრძოდა არაბებს, დღენიადაგ ცდილობდა თავისი საკუთრების საზღვრების გაფართოებას, ძველი სამფლობელოს, შიდა ქართლის დაბრუნებას (რასაც ნაწილობრივ მიაღწია კიდეც).

„ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთისა. რამეთუ ჟამსა სპარსთა უფლებებისა აოხრდა, ოდესიგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ოადონი. და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლბისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითა, და დაემკვიდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯუება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთს ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოხერი აღაშენა, და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ხელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა. და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთს შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტან გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოხრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად. და მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება [illegible] თა შინა“.

„მატიანე ქართლისა“ აშოტ დიდის დაღუპვის ადგილად გარდაბანს ასახელებს — „მოკლეს აშოტ კურაპალატ გარდაბანს, ეკლესიასა შინა“. განსხვავებულ ცნობას გვაწვდის სუმბატ დავითის ძე, რომელის მიხედვით აშოტ I მოუკლავთ ნიგალოს ხევში მოღალატეებს.

„და იყო ერთსა შინა ჟამსა, განვიდა აშოტ, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათვის სარკინოზთასა. მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინა ლაშქრის მაწუე